


გერამ ყიფის
ნოდარ ააგუკელი

„კრლხერი“ და „ვრციგიული“
სახლები



VITRUVIUS
II, I, 4, 5

თბილისი
1995

საქართველოს შალვა ამირანაშვილის სახელობის
ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სარედაქციო ჯგუფი

არქიტექტურის რომაელი თეორეტიკოსის ვიტრუვიუსის ტრაქტატში „არქიტექტურის ათი წიგნი“, საღაც თავმოყრილია ძველი არქიტექტურული და საამშენებლო მემკვიდრეობა, აღწერილია კოლხური და ფრიგიული სახლებიც, როგორც საცხოვრისთა უძველესი ნიმუშები. ნამრომის მიზანია, ყველა არსებული მონაცემის ურთიერთშეჯრებით, განსაზღვროს აღწერილ ნაგებობათა ტიპოლოგია, მათი არქიტექტურული სახის ჩეკონსტრუქცია.

სამაცნერო რეზაქტორები:

ალექსანდრე ჯავახიშვილი
ოთარ ლორთქიფანიძე

რეზანზენტები:

ცაცა თოლორდავა
დარექან კაჭარავა

რეზაქტორი:

ნინო ნაღარაია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ
ЦЕНТР АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЙ
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ИСКУССТВ ГРУЗИИ
имени Ш. Я. АМИРАНАШВИЛИ

ГУРАМ КИПИАНИ
НОДАР АМАШУКЕЛИ

„КОЛХСКИЕ“ И „ФРИГИЙСКИЕ“
ДОМА

VITRUVIUS
II, I, 4, 5

ТБИЛИСИ
1995

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არქიტექტურის კვლევის ცენტრი
საქართველოს მართვა ამინისტრის სახელობის ხელოვნების
სახელმწიფო მუზეუმი
გურამ ყიფიაძე
ცოდარ ამაშუკალი

„პოლჩური“ და „ვრიბიული“
სახლები

VITRUVIUS
II, I, 4, 5

თბილისი
1995

VITRUVIUS

II, I, 4, 5

Apud nationem Colchorum in Ponto propter silvarum abundantiam arboribus perpetuis planis dextra ad sinistra in terra positis, spatio inter eas relicto quanto arborum longitudines patiuntur, conlocantur in extremis partibus earum supra alterae transversae, quae circumcludunt medium spatium habitationis; tum insuper alternis trabibus ex quattuor partibus angulos jugementantes et ita paries arboribus statuentes ad perpendiculum imarum educunt ad altitudinem turres intervallaque, quae relinquunt propter crassitudinem materiae schidiis et luto obstruunt, item tecta, recidentes ab extremo transtra traiciunt gradatim contrahentes, et ita ex quattuor partibus ad altitudinem educunt medio metas quas fronde et lato tegentes efficiunt barbarico more testudinata turrium tecta.

5. Phryges vero, qui compestribus locis sunt habitantes, propter inopiam silvarum egentes materiae eligunt tumulos naturales eosque medio fossura distinente et itinera perfodientes dilatant spatia quantum patitur. Insuper autem stipites inter se religantes metas efficiunt, quas harundinibns et sarmantis tegentis exaggerant supra habitationes et terra maximos grumos.

შესავალი

რომაელი ინჟინრისა და არქიტექტორის კიტრუვიუსის ტრაქტატი „De Architectura Libri Decem“ – „არქიტექტურის ათი წიგნი“ ანტიკური ხანის ერთადერთი ჩენიამდე სრულყოფილად მოღწეული კოვლის მომცველი შრომაა, სადაც თანმიმდევრულადა გადმოცემული იმდროინდელი ცოდნის მთელი ის სისტემა, რაც აუცილებელ იარაღად ითვლებოდა ხუროთმოძღვრისა და მშენებლისათვის, იგი ერთდროულად არქიტექტურული ცნობარიცაა და მეცნიერული, თეორიული ხასიათის ნაშრომიც – ერთგვარი ტექნიკური ენციკლოპედია.

ტრაქტატის ავტორის აზრით, არქიტექტურა მრავლის მომცველი ცნებაა და ძირითადად სამ დარგს აერთიანებს: საკუთრივ არქიტექტურას ანუ საამშენებლო ტექნიკას და ხელოვნებას (I-VIII წიგნები), გნომონიკას – დროის საზომხლსაწყოთა ტექნიკლოგიას (IX) და მექანიკას ანუ ცოდნას ამწევების, წყლის გადასაგდები მოწყობილობების, საალყოდა სატყორცნი მანქანების შესახებ (X).

კიტრუვიუსი თავად მოგითხოვბს, საქმაოდ ძუნწად თავის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე: მამამისი არქიტექტორი კოფილა და განათლებაც მისგან მიუღია,¹ როგორც პოლიორკეტიკოსი, მხატვრობდა იულიუს კეისრის ლეგიონებში² და ლაშქრობებისას ალბათ ბევრი ქვეყანა მოიხილა. როგორც ფიქრობენ, ინჟინრად მოღვაწეობდა იგი ოქტავიანეს დროსაც³. ყველა მისი ავტობიოგრაფიული მონაცემის შეჯვრებით კიტრუვიუსი ძვ.წ. I-ის მეორე ნახევრის მოღვაწედ გვევლინება.⁴ იგი ძირითადად ინჟინრია, თუმც თავის დამოუკიდებელ არქიტექტურულ ქმნილებასაც ასახელებს – ბაზილიკას Colonia Julia Fanestris-ში,⁵ რაც დღევანდელ ფანოში, ადრიატიკის სანაპიროზე ლოკალიზდება.

ტრაქტატი კიტრუვიუსმა პრინცეპსს, ოქტავიანე ავგუსტუსს მიუძღვნა, სრულიად გამიზნულად. თავისი ქმნილების შესავალში, რომელიც ძირითადად მიმართვა იქტავიანესადმი, ასაბუთებს მისი შექმნის აუცილებლობას – იმპერიის კეთილდღეობისათვის, მისი პრესტიჟისა და სიდიადისათვის უნდა შეიქმნას მონუმენტური საზოგადოებრივი ნაგებობანი და ეს საამშენებლო მოღვაწეობა ცოდნაზე უნდა იყოს დაფუძნებული.⁶ ა ასეთი ხასიათის შრომაში აისახა ქართული სინამდვილე „კოლხური“ და ჩენია აზრით, „ფრიგიული“ სახლითაც, რომელსაც კიტრუვიუსმა თავისი ქმნილების მეორე წიგნის პირველი თავის მე-4 და მე-5 განაკვეთები მიუძღვნა.

ტრაქტატის ტექსტი არ გახლავთ თანაბრად მწყობრი და არც ერთნაირი ინფორმაციული სიცხადე ახასიათებს მის ცალკეულ ნაწილებს. მასში ძუნდოვან ადგილებსაც ვხედებით და თემის ღრმა ცოდნით გადმოცემულ მეთოდებსა და რეკომენდაციებსაც.⁷ „კოლხური“ და „ფრიგიული“ სახლების აღწერილობანი ლაკონურობით გამოიჩეება, კიტრუვიუსს საქებით ჩამოყალიბებული აზრი აქვს მათზე, მაგრამ ტექსტში ყველაფერი ცხადი და ნათელი არ არის, რაც ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ მას ამდაგვარი ქმნილებანი არ უხილავს, თხრობისას იგი თავის წყაროს ყერდნობოდა.⁸ ერთი რამ კი უდავოა: ამ სახლებმა რაღაც განსაკუთრებულით მიიპყრეს მისი ყურადღება.

კელების მიზანი ამ საცხოვრისთა სახის წარმოდგენა, მათი ტოპოლოგიის დაგენის ცდა, რაც კიტრუვიუსის მიერ შეიგადაშიგ ნაგულისხმეული დეტალების ამოცნობასა და თავისი ადგილის მიჩნასაც გულისხმობს. ამისათვის არქიოლოგიურ მონაპოვრებასა და ეთნოგრაფიულ პარალელებს მოვიხმობთ. გარდა ამისა, თვით ტექსტის ინფორმაციული შესაძლებლობანიც არ არის ამოწურელი.

კოლხური სახლი

თითქმის ყველა მქონეგარს, ვინც კი ამიერკავკასიის ხუროთმოძღვრების ზოგად თუ კონკრეტულ საკითხს შეხებია, „კოლხური სახლი“ მოხსენებული აქვს თავის შრომაში. მას სპეციალური გამოკელევებიც მიეძღვნა,⁹ სადაც ტექსტისა და ჭამხმარე მასალის ანალიზითა და ურთიერთშეჯვრებით წარმოსახულია კოლხთა საცხოვრისი, გამოთქმულია მოსაზრებანი მისი კონსტრუქციული და მოცულობითი თავისებურებების შესახებ. თვალსაზრისები „კოლხურ სახლზე“ ერთმანეთისაგან საქმაოდ განსხვავდება, რადგან ტრაქტატის სახით საქმე გვაქს წყაროსთან, მის საქმაოდ რთულ დათინურ ტექსტთან, სადაც არქიტექტურული ტერმინები და განსაზღვრებანი სხვადასხვანაირად შეიძლება იქნას ახსნილი.

დღემდე ქართულ ენაზე „კოლხური სახლის“ სამი თარგმანი მოგეცილება: შალვა ამირანაშვილის, მაქსიმე ბერძნიშვილისა და ლონგინოზ სუმბაძის.

შალვა ამირანაშვილის თარგმანი:

„პონტოში მცხოვრები კოლხების ტომი, რომელსაც ტყეები ჭარბად მოეპოვებოდა, მთლიანი ხის ძელებს პირდაპირ მიწაზე აწყობს მარჯვნივ და მარცხნივ, სტოკებს მათ შორის მანძილს, რომელიც ძელთა სიგრძეს უდრის. შემდგომ მათ ბოლო ნაწილებზე ზემოდან გარდიგარდმო დაწყობენ სხვა ძელებს იმნაირად, რომ შენობის შუა სიკრცე

შეიკვრება. ამის შემდგომ კუთხეებს ოთხივე მხრიდან შეკრავენ ძელების ერთიმეორებზე შენაცვლებით დაღაგების წესით, ამოყავთ კედლები და სანათურები (კომები) პერსენდიკულარელად (საძირკვლისა), ხოლო ცარიელ ადგილებს, რომლებიც რჩება ძელთა სიმსხოს გამო, ავსებენ ნაფოტებითა და თიხით; ამავე წესით სახურავებს აგებენ: ამოკლებენ განის კოჭებს, გაღაჯვარედინების საშალებით თანდათანისათვის ავირისებენ და ამრიგად ოთხი მხრიდან შუა ადგილას ამოყავთ პირამიდა (ბანი), რომელსაც უარავენ ფოთლებითა და თივით; ამ ბარბაროსული წესით თაღიან სახურავებს აგებენ“.¹⁰

მაქსიმე ბერძნიშვილის თარგმანი:

„ძოლხთა ხალხი პონტოში ხე-ტყის ხიუხვის გამო პირდაპირ დედამიწაზე აღავებს მარჯვნივ და მარცხნივ მთელ-მთელ ძელებს და ამ ორ წევებს შეა ტოვებს ადგილს, ძელების სიგრძის ოფენას; შემდევ ამ წევებითა ორივე ბოლოში აღავებს გარდა-გარდო თრ ხევა წევებს; ამრიგად შემოველება წრე მათ შეა მდებარე ბინას (ე.ი. საცხოვრებელ ფართობს). შემდევ კოლხები ითხივე მხარეზე – შენაცვლებით ორ ერთი მეორის მოკირდაპირე მხარეზე – აღავებენ ზედ ძელებს ისე, რომ კუთხეებს აერთებენ და კედლებს წარმოქმნიან, და ფუძის შვეულად აგებენ ქოხებს, ხოლო ხარვეზებს, რაც რჩება ძელებს შუა, მასალის სისქის გამო, ისინი ავსებენ ნაფოტებით და თიხით. სწორედ ასევე გარდიგარდო კოჭების ბოლოთა და მათი თანდათანი დამოკლებით, თითქოს საფეხურებიაო, მათ ამოკლებით მოკლებით მხრიდან ზევხევით და შუაში აეტებენ პირამიდისებურ კენწეროებს, რომელსაც მერე გადახურავენ ხოლმე ფოთლებითა და თიხით და ასეთი ტლანქი წესით აშენებენ თავიანთი ქოხების თაღიან სახურავებს“.¹¹

ლონგინოზ სუმბაძის თარგმანი:

„ძოლხები პონტოს მხარეში ტყის ხიუხვის გამო აწყობენ მიწაზე მარჯვნივ და მარცხნივ მთლიან ხეებს ერთმანეთს შორის მათი სიგრძის ტოლი მანძილის დატოვებით, მათ ზემოდან კი თავსა და ბოლოს გარდიგარდო გასძებენ სხვა ძელებს, რომლებიც ამგარად ზღუდავენ ბინას შინაგან სივრცეს. შემდევ, ითხივე მხარეს კუთხეებში შეუღლებული ხეების თანდათანობით წყობით ამოკლებით რა ძირითა ძელების შვეულად ზის კედლები, აგებენ კოჭებს, და შუალედებს კი, რომლებიც ხეებს შორის რჩება მათი სისქის გამო, ამოავსებენ ფათხებითა და თიხით. ასევე (აგებენ) სახურავებსაც: გასდებენ რა ნაპირიდან დაცილებით გასაყარებს, რომლებიც ზევითკენ თანდათანობით მოკლება, ითხივე მხრიდან შეისკენ ამოკლებით პირამიდები, რომლებიც თიხით დახურული წარმოადგენენ ბარბაროსთათვის ჩვეულებრივ კუშმაგვარ კოშკურ სახურავებს“.¹²

ლ.სუმბაძემ თარგმანი ჩამოაყალიბა და დახვეწა იმ კელევის საფუძველზე, რომელიც „ძოლხური სახლის“ არსის შეცნობას ითვალისწინებდა. ამიტომ ჩვენს ნარკვეში სწორედ მისეულ ტექსტს დავეკრძნობით, აღწერილობის შესაბამისად განვიხილავთ ამ საცხოვრისთან დაკავშირებულ საღავო და ბუნდოვან საკითხებს.

დასაწყისში ვეცნობით, თუ როგორ იზღუდება საცხოვრისის ფართობი: მიწაზე იდება ერთმანეთის პარალელურად ორი, თანაბარი სიგრძის მორი ისე, რომ მათ შორის მანძილი თვით მათი სიგრძის ტოლია, ზემოდან კი მათ კიდევმთ ეჭვობა კვლავ ორი, ერთმანეთის პარალელური მორი (ტაბ.I,8). შემოისაზღვრა ნაგებობის კვადრატული გეგმა. ასეთი წყობა გარე ნარჩენებს ანუ ქილიგებს წარმოშობს, რაც ზის კონსტრუქციული ბუნებითაა ნაკარნახვი და იგი უცვლელი წესია, იმისდა მიუხედავად, ნაგებობა მორებითა შედგენილი, ძელებითა თუ ფიცრებით. ვიტრუვიუსის იმ კომენტატორთა უკრავლებობას, რომელთაც რეკონსტრუირებული აქვთ „კოლხური სახლი“, მორების წყობას სწორედ ქილიგებით წარმოისახვს, მაგრამ კონსტრუქციაში კი აზრთა სხვაობა ნამდვილადაა, – რა მეთოდით უკავშირდება მორები ერთმანეთს ანუ როგორ ებრიან ისინი ნაგებობის კუთხეებში ურთიერთს, იკვეთება მორები ურთიერთჭდობისათვის თუ უბრალოდ ერთმანეთზე აწყვარა. უგანასკნელი აზრი პირველად ფრანგი კომენტორის პეროს რეკონსტრუქციაზე აისახა (ტაბ.II,4) და შემდგომ ლ.სუმბაძემ განავითარა, მასაც მიაჩნდა, რომ საკედლები მორები პირდაპირ ერთმანეთზე ჭდობის გარეშე ეწყობოდა (ტაბ.III,6),¹³ მაგრამ ამდაგვარი წყობით შეუძლებელია სრულყოფილი ნაგებობის აღმართვა¹⁴ და ამიტომაც „კოლხური“ სახლისათვის ეს კონსტრუქცია საქვეოდა მიჩნეული სხვა მეცნიერებრივი მიერ.¹⁵ ასეთი წარმოსახვისათვის ლ.სუმბაძეს საფუძველს თვით ვიტრუვიუსის ტექსტი აძლევს: „...შეალედებს (intervallaque) კი, რომლებიც ხეებს შორის რჩება მათი სისქის გამო...“ ცხადია, თუ შეალედები დაკითხავთ ლრიჭოს, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მორები ერთმანეთზე აწყვარა,¹⁶ რადგან ჭდობა, თუ იგი განხორციელებულია მორების ორმხრივი კეთით, დაობებს კედლის სტრუქტურაში გამორიცხავს. ვ.გაგოშიძემ ამ საკითხის დასაზუსტებლად სწორედ არქეოლოგიური მონაპოვარი მოიშველია¹⁷ – ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილი ზის ნაგებობის ნაშთები (ტაბ.I,1), სადაც ჩანს, რომ მორები მხოლოდ ცალი მხრიდან იკვეთებოდა და ყოველი მათგანი ამონაკეთით ზემოდან ედგმოდა ქვედა მორეს. ასეთი ჭდობა პორიზონტალურ ვიტრორიზონტებს წარმოშობს მორებს შორის, დაახლოებით მათი დიამეტრის 1/6-ის ტოლი სიმაღლისას.

ნოსირის ხის ნაგებობა ძვ.წ. II ათასწლეულით თარიღდება,¹⁸ ზოლო ძვ.წ. V-IV სს-ის ხის საცხოვრისში, „სიმაგრეზე“ კოლხეთის ექსპედიციის მიერ მიკვლეულ ნაგებობაში საკედლე მორებს შორის არავითარი ღრიჭო არაა (ტაბ.I,3,4).¹⁹ ეს მიღწეულია იმით, რომ ყოველი მორი ორივე მხრიდან ამოკვეთილია დიამეტრის 1/4-ით (ტაბ.I,2). ასეთი ჭდობა მორებისა „კოლხური“ სახლისათვის გ.ლევავაშ ივარაუდა (ტაბ.III,4),²⁰ თუმც აღარ დაუზუსტებია, რა იფარებოდა მაშინ „ფათხებითა და თიხით“. მისი ვარაუდი ვანის გათხრებშაც დაადასტურა ე.წ. „საგანძურის“ ხის ნაგებობის ნაშთებით (ძვ.წ. II ს), სადაც შემორჩა მისი თიხით შელესილობის ფრაგმენტები,²¹ რომლებგეც ნათლად ჩანს ერთმანეთთან მჰქილროლ მიჯრილი მორების კვალი (ტაბ.I,5,6). ე.ი. ჩანს, რომ არავითარი გამჭოლი შუალედი მორებს შორის არაა. ესაა მორების სრულყოფილი ჭდობის შედეგი. ეს დადასტურდა „სიმაგრეზეც“ და ვანშიც და უცვლელად დღესაც ფუნქციონირებს ხის ნაგებობებში (ტაბ.I,7).

თუ ასეთივე კონსტრუქციით წარმოვადგენთ „კოლხური სახლის“ ქედლებს, მაშინ გასარკვევი რჩება, რაღაა ის შეულევი, რაც „ფათხებითა და თიხით“ ივსება. კფიქრობ, რომ ვანში მიკვლეული შელესილობის ფრაგმენტები გვაძლევს ამაზე პასუხს: აյ თიხა ფარავს ჰორიზონტალურ ნაკერებს, თანაბრლება მორების სიმრგვალით წარმოშობილი კედლის გრძივი შეზნექილობანი, იქმნება მისი გლუვი სიბრტყე. ვიტრუვიუსისათვის ეს შესავსები ადგილები არის „intervallaque“ – შეულევდები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი გამჭვლია. ტექსტისეულ შეალიტები კი, რომლებიც ხეებს შორის რჩება მათი სისქის (crassitudinem) გამო, გაუგრძარი რჩება, თუ არ ავხსინით მას შესდევნათ-რად: „შეალევდები ხეების სიმრგვალის გამო“ ან უბრალოდ „შეალევდები მორების გამო“. ე.ი. თუ მორები ერთმანეთს ჭრობით არ უკავშირდება, მაშინ „ხეების სისქე“ არაფერ შეუშია. ღრიფოები მათ შორის ისედაც დარჩება და თუ ჭრობით უკავშირდება, მაშინ ღრიფო აქ აღარა და „სისქე“ სიმრგვალეა ხისა. აյ საუბარია მორებზე და „სისქე“, ბუნებრივია რომ, „სიმრგვალის“ სინონიმია. ანუ რაც უფრო სქელია მორე, ან რაც უფრო დიდი დიამეტრისაა ის, მით ურო მეტა თიხით შესავსები ფართობი, „შეალევდი“.

„კოლხური სახლის“ ზედა სტრუქტურა მორების პარალელური წყობით შეღენილი ცრუ კამარაა. ასე ეს მისი დაწარმოუდგენია ეს კველა მკელევარს. ცხადია, „კოლხური სახლის“ წარმოსახვისას სახურავის მორების ჭდობაც იმდაგვარადვე უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც კედლებისათვის ვივარაუდეთ (ტაბ.I,7) და მაშინ მისი დახრილი კალთების სიბრტყენი გაცილებით გლუვი და თანაბარი გამოიდის. ამიტომაც აյ მხოლოდ „ოზურება“, „უოთლებითა და თიხით“ მათი ზედაპირი კედლებისაგან განსხვავდით, სადაც დრმა „შუალედები“ „ივსება“ „ფათხებითა და თიხით“.

აღწერილობის ბოლოს ერთად იყრის თავს „კოლხური სახლის“ გველა განსაზღვრება და ეპითეტი: „პირამიდული“, „გუბმაგვარი“, „ბარბაროსული“ და „კოშკური“. „პირამიდული“ მხოლოდ იმ ფორმის განსაზღვრაა, რასაც მორების ქადაგიატულ-პარალელური წყობა წარმოშობას, ხოლო „გუბმაგვარი“ თვით არქიტექტურული თვემისა. კუსმაგვარი (Testudinata) არქიტექტურული ტერმინია: ამით აღინიშნებოდა გადახურვის სივრცობრივი სახეები პორიზონტალურ ფორმათაგან განსხვავებით, გუბმათები და კამარები,²² ხოლო „ბარბაროსული“ კი ეპითეტია ზედა სტრუქტურისა, რაც იმას გულისხმობს, რომ არსებობს როგორც პირამიდული სახურავის, ასევე კამარის შექმნის სხვა, „არაბარბაროსული“ მეოთხდაც. ქედან გამომდინარე მთლიანად კონსტრუქციული სქემა მიჩნეულია „ბარბაროსულად“ ამ საცხოვრისში. რა იგულისხმება „კოშკურში“, შეკვეცებით თანდათანობით აკსნათ.

„ქოლხური სახლი“ ორჯერ მოიხსენია ვიტრუეიუსმა კოშკად: „აგებენ კოშკებს“ და „წარმოადგენენ... კოშკურ სახურავებს“. მევლევართა დიდი ნაწილი მას მაიც ერთსართულიან ნაგებობად მიიჩნევს, რაღაც ამ საცხოვრისის კოშკურობა ნაკლებად შეესაბამება ტექსტისაგვ შინაარსს და მაიც ეს ფაქტი გარკვეულ ცოცხებას ქმნის. აღმათ ამიტომაც წარმოსახა „ქოლხური სახლი“ ჩეზარიანომ, ტრაქტატის ერთ-ერთმა პირველმა კომენტატორმა, კოშკად (ტაბ. II, 2), თუმცა საესხით ცხადია, რომ იგი ტექსტის ანალიზისას საფუძველშივე შეცდა: აღწერილობის საკედლე მორები პორიზონტურ წყობას გულისხმობს, ჩეზარიანომ კი ისინი ვერტიკალურად აღმართა. შემდეგი რიგის მორები კი დამოკლდა თითქოსდა ვიტრუეიუსის მიხედვით, მაგრამ ასევე შევეულად წამომართა ქვედა ძელების თავზე და თავისთვავად კოშკი გამოუვიდა, თანაც სრულდად ატექტონიკური. სავსებით სამართლიანად ეს რეკონსტრუქცია „ქოლხური სახლისა“ თავიდანერ კურიოზად მიიჩნიეს მკელევარებმა.²³ კოშკად, თანაც ქართული მთის რეგიონთა თვეს დამახასიათებელ კოშკურ საცხოვრისთა პროტოტიპად განსაზღვრა „ქოლხური სახლი“ ზახაროვმა²⁴ და იგივე აზრია განვითარებული მ. ჯანდიზისა და გ. ლევაზას ნაშრომებშიც²⁵ საინტერესო, ფართო ექსკურსის ფონზე.

"ოღლური" და "ფრიგიული" სახლების აღწერილობა იმითაც იქცევს შურადღებას, რომ ამ ნაგებობათა ზომების რეგლამენტაცია არა მინიშნებული. მოსალოდნელი კი თითქოს იყო, რადგან ტრაქტატის შესავალში ვიტრუევისი აღნიშნავს მოღულის აუცილებლობას როგორც საკულტო და საზოგადოებრივ ნაგებობებში, ასევე საკონკრიტოსებ-

შიც.²⁶ „კოლხურ სახლში“ კი ამ მხრივ სრული თავისუფლებაა. კოლხი იმის მიხედვით ზღუდავს ბინის შინაგან სივრცეს, რა სიგრძის მორჩეც ხელი მიუწვდება და ეს ხე საკმაო სიგრძისაა „პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო“. ასე ჩანს ეს არქეოლოგიური გათხრების შედეგადაც: ნოსირშიც და „სიმაგრეზეც“ ხის საცხოვრისები 12-15 მ-მდე სიგრძის მორჩითა ნაგები. ესოდეს დიდი შენობები, რომელთა ფართობი სულ ცოტა 100 მ² მაინც იქნებოდა, ძალიან ძნელია, საცხოვრის კოშკად, მრავალსართულიან ნაგებობად წარმოვიდგინოთ. თანაც ვიტრუვიუსი კედლების აღწერილობიდან ისე გადადის სახურავის კონსტრუქციაზე, რომ არაფრით მიანიშნებს სართულიანობას.²⁷

ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი გადახურვის ეს სისტემა — ცრუ გუმბათი, კვადრატულ-პარალელური წყობით შედგენილი გვირგვინი, ძნელი წარმოსადგნია შექმნილიყო კერისაგან საცხოვრისთა განვითარების აღრეულ ეტაპზე აუცილებელი ელემენტისაგან დამოუკიდებლად. გადახურვის აღნიშნული სტრუქტურა ლოგიკური წარმონაქმნია კერისა და მის მიერაა გამოვლენილი ხის ის კონსტრუქციული და მხატვრული შესაძლებლობანი, რომელიც გვირგვინში გაცხადდა. კერა დომინირებული ელემენტია საცხოვრისში, ქმნის, აწესრიგებს თავის გარშემო სივრცესა და სანებს.²⁸ აյ მისმა საუკუნეთა მანძილზე ბატონობამ დაბადა და განავითარა ხუროთმოძღვრულად, მხატვრულად, ფუნქციონალურად სრულყოფილი ვერტიკალური დაბოლოებაც და უსასრულობაც თავისი — გვირგვინი ერთოთ.²⁹ ასე რომ, თუ „კოლხურ სახლში“ ანთია კერა, მაშინ ეს საცხოვრისი ერდოიანია, გარდა ამისა, აღწერილი კონსტრუქცია არ გულისხმობს სხვენს, ტემპერატურის მარეგულირებელ მოცულობას. მას მთლიანად გამორიცხავს წყობის აღნიშნული სისტემა და ასეთ შემთხვევაში მისი კომპენსაცია მხოლოდ კერაა. ცხადია, რომ ცრუ კამარით დაგვირგვინებული სახურავი საცხოვრისის კოშკში უსხვევნობის გამო კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენია. „გვირგვინს“ აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ მის საპირისპიროდ მისი წარმოშობი კერა ფუნქციონირებს.³⁰

„კოლხური სახლის“ მრავალსართულიანობას თვით ტექსტი ეწინააღმდეგება: კოშკი ვერ აღიმართება საძირკვლის გარეშე. მისი ქვედა სტრუქტურის აღწერილობა პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ აյ საუბარია დიდი ფართობის მომცემელ, დამჯდარი პროპორციების მქონე ნაგებობაზე. მხოლოდ ასეთი შენობისათვის შეიძლება საძირკვლად პირდაპირ მიწაზე დაწყობილი მორჩები გამოდგეს. არც აღწერილობა და არც რეალური არქეოლოგიური სურათი არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ „კოლხური სახლი“ კოშკთან გაიგივდეს.

ბერძნები მწერალთა ცნობები კი თითქოსდა მოწმობენ კოლხთა მეზობლად, მოსსვნიკებთან, დრილებთან და მაკრონებთან ხის საცხოვრებელი კოშკების არსებობას. უფრო მეტიც; ერთი შეხედეთი აქ იგი გაბატონებულ არქიტექტურულ თემადაც კი ჩანს. სწორედ ბერძნები მწერალთა ცნობებს, როგორც უტყუარ მოწმობას ემყარებიან ის მკვლევარი, რომლებიც „კოლხურ სახლში“ კოშკურა საცხოვრისის პროტოტიპს ხედავენ.³¹ მითუმეტებს, რომ „მოსსვნი“, საიდანაც თვით სატომო სახელი „მოსსვნიკი“ წარმოდგება, კოშკთანა გაიგივებული. ე.ი. „მოსსვნიკის“ ეტიმოლოგია ასეთია: „მოსსვნი“ საცხოვრისია და მასში მცხოვრებ ხალხს „მოსსვნიკი“ ეწოდება.³² ასე თვლის ამას დიონისიოს ჰალიკარნასელი, აპოლონიოს როდოსელი, სტრაბონი, დიონისიოს პერიეგეტი, სტეფანე ბიზანტიონელი და სხვა. პირველად ასეთი ახსნა „მოსსვნიკისა“ ძვ.წ. III ს-ში აპოლონიოს როდოსელთან ჩნდება.³³ ჩვენთვის არსებითი კი აქ ისაა, თუ რას წარმოადგენს არქიტექტურულად „მოსსვნი“. თუ ეტიმოლოგიით ვიმსჯელებთ, იგი ელინის არქიტექტურული წარმოდგენისაგან განსხვავდება. უკვევლი აქ მხოლოდ ისაა, რომ იგი ხის ნაგებობაა.

დიონისიოს ჰალიკარნასელი — „ესენიც (ე.ი. მოსსვნიკები) ცხოვრობენ კოშკების მსგავს მაღალი ხის ძელებით გარშემორტყმულ ადგილებში, რასაც ისინი უწოდებენ მოსსვნებს“.³⁴ ამ ციტატის მიხედვით „მოსსვნი“ ეწოდება დასახლებას, მის არქიტექტურულ ტიპს — ხის მაღალი გალავნით შემოსაზღვრულ „საქალაქო“ ფართობს. თვით საცხოვრისის შესახებ კი არაფრია თქმული, „კოშკების მსგავს მაღალი ხის ძელებით გარშემორტყმულ ადგილებში“ არ ვიცით, როგორი სახლები დგას.

აპოლონიოს როდოსელი — „მოსსვნიკები... ხის კოშკებში, ხის საცხოვრებლებს იწყობენ და კარგად შეკრული ხის ლობები. ან მთლიანად კომპლექსია „მოსსვნი“, ან მხოლოდ გალავნი.“

აპოლონიოს სექტორიასტის მიხედვით კი „მოსსვნები ჰქვია ხის სახლებს“,³⁶ მაგრამ რომაელი მწერალი პომპონიუს მელა კოშკში მცხოვრებ მოსსვნებზე საუბრობს.³⁷ ვალერიუს ფლაკუსით კი — „თქვენ მოსსვნებო... და მაკრონებო მაღალი სადგომებიდან“.³⁸ თვით ნაგებობაა მაღალი თუ მთელი დასახლებაა მაღლობზე გამართული? ჩვენ უფრო ისე გვესმის, რომ სადგომი აქ მაღლობზე შეფენილ დასახლებას ნიშნავს.

თინათინ ყაუხებიშიშვილმა ყველა იმ ბერძნული წყაროს ურთიერთშეჯრებით, სადაც კი „მოსსვნი“ და „მოსსვნოიგა“ ნახსენები, გამოიტანა უცილობელი დასკვნა, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია საქართველოს არქი-

ტექტურის ისტორიის მკალევარებს.

„ყოველივე ზემოთ მოტანილის საფუძველზე შემდეგი შეიძლება დაისკვნას იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს „მოსვნა“.

ის არის მწვერვალზე ან ამაღლებულ ადგილზე; იგი არის ხის; წარმოადგენს კარგად შეკრულ დობეს, გაღავანს, რომელშიც ცხოვრობს ბასილევები (უმაღლესები) და შემდეგ თითქოს დანარჩენი მოსახლეობაც.

ეს არის ერთგვარი „საღიამი“ და არა მხოლოდ ხის კოშკი ან ხის სახლი. როგორც ჩანს, ეს არის ნაგებობათა კომპლექსი ხის მესერით, ძელებით გამაგრებული და გარშემორტყმული. „მოსვნი“ ტექსტების მიხედვით ამ გაღავანს ეწოდება და შემდეგ მოედ კომპლექსს, ყველაფერს, რასაც ეს გაღავანი მოიცავს“.³⁹

ჩვენი მხრივ კი აქ ის უნდა დავამატოთ, რომ „მოსვნი“ არქიტექტურული კატეგორიაა და ნიშნავს ხის ქაღაქს, ქაღაქში ვეულისხმობო ცენტრს მისი ყველაზე ზოგადი გაგბით, გაღავანით შემოსახლერულ კომპაქტურ დასახლებას საგანგებო შერჩეული ტონირეაუით. იგი მთლიანად ხის არქიტექტურით, ხის კონსტრუქციული და მხატვრული შესაძლებლობების დემონსტრირებით განსხვავდება ბერძნული დასახლებებისაგან. იგივე სურათი გვაქს მთელს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისინერთში ქართველური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე, რაც ასე კარგად ჩანს უპირველესად ქსენოფონტის ცნობებით.

გაირკვა, რომ „მოსვნი“ სულაც არაა კოშკურა საცხოვრისი, მაგრამ რატიბის სახლებში ცხოვრობდნენ კოლხთა მეზობლები და თვით კოლხები, კვლავ არ ვიცით, თუმც გაგონია, რომ ქსენოფონტთა და დიონორე სიცილიელთან მათზე მინიშნება არის. ჯერ ქსენოფონტს მივაჲროთ ჭურადღება და კერძოდ ბერძნების დრილებთან (ისინიც მოსსვნებში ცხოვრობდნენ) ბრძოლის ფრაგმენტებს „...გადაიწვა მთელი ქალაქი, სახლები, კოშკები, მესრის სიმაგრე და ყველაფერი სხვა გარდა შიდა სიმაგრისა“.⁴⁰ აქჩანს, რომ ქაღაქი შეიცავს აკროპოლისს, შიდა სიმაგრეს, რომლის გარეთ ან გარშემო იდგნენ საცხოვრისები და ქაღაქი გარშემორტყმული იყო სასიმაგრო ზოლით, კოშკებითა და გაღავნით. ე.ი. გარდა იმისა, რომ შეგვაძლია აქ ქაღაქის სტრუქტურა დაგინახოთ, განსხვავებულია ერთმანეთისაგან საცხოვრისი და კოშკი. მანამდე კი ელინებს ღრილების ამ გადამწვარი ქაღაქიდან უკან დახევა გაუჭირდათ „როგორც კი (ელინებმა) უკანდახევა დაიწყეს (სიმაგრის) შიდა ნაწილიდან გამოვარდა უამრავი (ზალხი). სხვები ავიდნენ სახლებზე, რომელიც სიმაგრისკენ მიმავალი გზის ორივე მხარეს (იღვა), ამიტომ (ელინებსათვის) საშიში იყო დაღენებობდნენ (მტერს) სიმაგრისაკენ მიმავალი შესავლით, რაღაც (ისინი) ზემოდან ხის დიდ კოშკებს ისროლნენ“.⁴¹ ე.ი. ღრილება აცვივნენ სახლებზე და იქიდან სტყორცნიან ელინებს დიდ კოშკებს. სატყორცნი კოშკების მოპოვება მხოლოდ „ბარბაროსულად“ ნაგები სახლის სახურავზე შესაძლებელი მისი ზემოდან დაშლის შეღებად, სწორედ ისეთზე, როგორც ეს ვიტრუვიუსმა აღწერა. „არაბარბაროსული“ ანუ ბერძნული სახურავის თავზე კოშკებს ერავინ მოიძევა.

მრავალმხრივ საყურადღებო მგრინია ლიონის დიონორე სიცილიელის ერთი ცნობაც: „(მოსსვნიები) შეგროვდნენ ერთ ადგილს შევიდსახურავიან კოშკებში“.⁴² **ტექტურის ფიზიკურის შემთხვევა** – შევიდი და სახურავი: თხზულების რუსულ თარგმანში აკმდება „შევიდსართულიანი კოშკები“,⁴³ ალბათ იმიტომ, რომ წარმოუდგენელია კოშკი შევიდი სახურავით. ასეთი თარგმანი, ცხადია, გაუმართლებელია – წყაროში გარკვევით წერია „შევიდსახურავიანი“ და თანაც შევიდსართულიანი კოშკი მთლიანად ეწინააღმდეგება რეალობასა და ყოველგვარ წარმოდგენას არქიტექტურის განვითარებაზე. შევიდსართულიან ხის კოშკებს შეუძლებელია როდესმე და საღმე ეარსხნათ. თ.ყაუსჩიშვილმა ფრთხილად გამოთქვათვისი გარაუდი ამ საკითხთან დაკავშირებით. მისი აზრით აქ შეიძლება ერთიანი, მაგრამ ისეთი ცალკეული ფლებისაგან შემდგარი კომპლექსი იგულისხმებოდეს, რომელთაც თავ-თავისი, ერთმანეთისაგან განცალკევებული სახურავი აქვთ,⁴⁴ მაგრამ ასეთი ნაგებობის წარმოდგენაც ძალიან ძნელდა, არც ვიცნობთ გეგმარების მსგავს სქემებს და თანაც მრავლად ყოფილა ტექსტის მიხედვით ეს „შევიდსახურავიანი კოშკები“. ჯერ ჩვენ არ ვიცით ბერძენი და რომაელი მწერლები და მათ შორის ვიტრუვიუსიც სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ხის საცხოვრისებს რატომ უწოდებენ კოშკებს, მაგრამ ცოტა წნით გადავითოთ ეს თემა გვერდზე.

შევიდსახურავიანი, ჩვენი აზრით, არქიტექტურული ტერმინია და სწორედ გვირგვინით გადახურული სახლის აღნიშვნელი. ე.ი. ისეთი გვირგვინისა, რომელიც შეიძლია ხარისხისაგან შედგება. აქ უნდა გავიხსენოთ „ცა“, როგორც ჭრის, სახურავის სისონიმი⁴⁵ და შეიძლის სისმბოლური მნიშვნელობაც უნივერსუმისა და მაკროკოსმოსის⁴⁶ – „მეშვიდე ცა“. მაკროკოსმოსის მოდელი კი სწორედ დიდი სივრციდან, როგორც მოცემულობიდან გამოცალკევებული მცირე სივრცეა, რომელიც „სახლით“ ცნობიერდება. „შევიდსახურავიანი“ – გვირგვინის ქანონიკურ სახეზე მიგვანიშნებს ღრიოს რაღაც გარკვეულ მონაკვეთში მაინც საფეხით ბუნებრივია, რომ ეს წესი დაირღვა ღრიოთა განმავლობაში, რასაც ერთი მხრივ საწყისი სიმბოლოს ტრანსფორმაცია გამოიწვევდა და მეორეს მხრივ კი ის გარღუვა-

ლობა, რასაც ხის მხატვრული და კონსტრუქციული შესაძლებლობანი წარმოშობდა გვირგვინთა ფორმირებისას განონიკურობის გადალახვის ხარჯზე.

დიოდორე სიცილიელის ამ ცნობის გარდა, რომელმაც დააფიქსირა გვირგვინის შვიდსაფეხურიანობა (აქ გვგონია შეიძლება გვიხსენოთ სამაღლისაქნ მიმართებისა და ცის ბაბილონური და ძველ-ირანული შეიძი საფეხურიც),⁴⁷ იგი ასევე დაადასტურა იმ მცირეაზიური სამარხებმა, რომელიც გვირგვინით გადახურულ საცხოვრისთა დამცრობილ მოდელებს წარმოაღენენ და გადახურების შეიდ-შეიდ საფეხურს შეიცავენ (ტაბ. VII,5; ტაბ. VIII,2,5). აქაც დროის რაღაც გარკვეულმა მონაკვეთმა მოახერხა დაეფიქსირებინა ის განონიკური მოდელი, რომელიც ჩვენი აზრით დიოდორე სიცილიელის თხზულებაზ ასახა.

ტრიფიც -ის მნიშვნელობაც საფურადლებოა – ესაა სახურავიც მთლიანად და ის ცალკეული დეტალიც, რაც სახურავის გამოყენებული. ამდენად, სივრცის გადამხურავი ცალკეული სექტორიც შეიძლება ტრიფიც -ად წოდებულიყო, მთუმეტეს, რომ გვირგვინის ყოველი ცალკეული სარისხი ამავე დროს არის სივრცის გარკვეული მონაკვეთის დამოუკიდებული სახურავიც.

ასახსნელი რჩება, რას გულისხმობს ვიტრუკიუსი (და სხვებიც) „კოშკი“, რაღაც არის მისოვის ამ სახლში კოშკისათვის დამახასიათებელი – „ამოფევო რა ძირითა ძელებით შეულად ხის კედლები, აგბენ კოშკებს“. კოშკისათვის დამახასიათებელი ამ საცხოვრისში უპირველესად მისი კვადრატული გეგმაა. კვადრატი კი ბერძნულ არქიტექტურაში, როგორც ყოველგვარ დინამიზმს მოქდებული სხეული, უაღრესად არაპოპულარული სახე იყო⁴⁸ და საფუძვლად ედებოდა მხოლოდ მხოლოდ სასიმაგრო კოშკებს. ასე რომ, „კოლხური სახლი“ მარტიონენ გეგმითაც კი, თუ იგი ერთ-ერთი მსახლეობული მაინც იყო ვიტრუკიუსისათვის ნაგებობათა ტიპოლოგიის დასაღვენად, უკვე კოშკია, კოშკთან ასოციაცია უნდა გამოიწვია გარდა ამისა შიდა სივრცის ჩაეტენობას, სარკმელთა სრულ უარყოფას, დია გალერეათა და შიდა ეზოების სრულ შეუთავესებლობას აღწერილ ნაგებობასთან. „კოლხურ სახლს“, როგორც გამხოლოებულ და ჩაგეტილ, კვადრატული ფუძის მქონე ნაგებობას, ვიტრუკიუსი განსაზღვრავდა კოშკად.⁴⁹

დასახრულს კი „...ოთხივე მხრიდან შუისაქნ ამოჰევოთ პირამიდები, რომელიც ფოთლებითა და თიხით დახურული წარმოადგენენ ბარბაროსთათვის ჩვეულებრივს კუსმაგარ კოშკურ სახურავებს“. კოშკისათვის დამახასიათებელი აქ სახურავის პირამიდული ფორმაა, მისი ოთხქანიბიანობა, კვადრატული ფუძით გაპირობებული. სახურავის ეს ფორმა თავისთავადაც იშვიათობა ბერძნულ სამყაროში და მხოლოდ კოშკთათვის იყო გათვალისწინებული, ოღონდ სრულიად სხვა, „არაბარბაროსთასული“ კონსტრუქციული სქემით ხორციელდებოდა, ე.ი. იმ კოშკთათვის დამახასიათებელ ნიშნებს „კოლხურ სახლში“, რაც უკვე მოვისხენიერ, სახურავის პირამიდაც ემატება. როგორც საცხოვრისი, სტრუქტურულად იგი სრულიად უცხოა ბერძნულ-რომაული წარმომადგენისთვის და ამიტომაც უსვამს ესოდენ მქევრად ხაზს ვიტრუკიუსი ამ სახლის „ბარბაროსულ“ სახეს.⁵⁰

„კოლხური სახლის“ ზედა სტრუქტურას მკაფევართა დიდი ნაწილი გვირგვინის პროტოტიპად მიიჩნევს და სახლს მთლიანად დარბაზისად.⁵¹ კონსტრუქციულად „კოლხური სახლის“ სახურავი არის კიდევაც გვირგვინი. მრავალმხრივ საინტერესო აღმოჩენას პრონდა ადგილი 1986 წელს ჩოლოეში, სადაც ხის ძ.წ. X საუკუნის ნაგებობა გაითხარა, ეს ნაშთები ნაგებობისა კოლხთა სამშენებლო ხელოვნების შესახებ ერთბაშად გვაძლევას უარია ახალ ინფორმაციას (ტაბ. IV). ერთდროულად აღასტურებს ვიტრუკიუსის ცნობათა სარწმუნოებას და აგხებს ჩვენს წარმომადგენებს სრულიად ახალი მონაცემებით. ესაა 9 მეტრის დამეტრის მქონე თორმეტკუთხა ხის ნაგებობა ცენტრალური კერით, რომელიც თავისთავად მის სასისისპირო გულისხმობის ერდოს, ხოლო შემორჩენილი ქედა სტრუქტურა კი კედლებიდან განვითარებულ სრულგოფილ გვირგვინს (ტაბ. IV,3). აქ ყველაფერი გვაქვს სახეზე. ვიტრუკიუსის მიერ ნათქვამიცა და ნაგულისხმეულიც: პირდაპირ მიწაზე დაწყობილი მორები, ცენტრალური კერა, ერთმანეთთან შეუღლებული საკედლები და იგულისხმება საფუძლიდანვე ჩასახული ცრუ კამარა – ამჯერად კონუსი ვიტრუკიუსის პირამიდისაგან განსხვავდით. საკარაულო ისედაც იყო კედრატულ-პარალელური წყობის გვირგვინის გეერდით მისი უფრო განვითარებული სახეობის არსებობაც. ვიტრუკიუსს აქვს აღნიშნული, რომ კოლხური და ფრიგიული სახლები ნაგებობათა უძველესი ნიმუშებია,⁵² რაც არქეოლოგიამაც დაადასტურა.

მართალია მკედვევართა ნაწილი „კოლხურ სახლს“ მიიჩნევს დარბაზის პროტოტიპად, მაგრამ განსხვავებული აზრიც არსებობს ამის შესახებ. თ.ჩიქოვანი ამ ორ სახლს მორის პრინციპულ სხვაობას ხედავს, რასაც მისი აზრით დედამიშვილი განაპირობებს⁵³ – დარბაზში გვირგვინის საყრდენი ბორი ან ბოძთა სისტემა, ხოლო „კოლხურ სახლში“ – კედლები. დარბაზის განმსაზღვრულ ნიშნად თ.ჩიქოვანს სწორედ დედამიშვილი მიაჩნია. შევეცადოთ გავერკვეთ რას წარმოადგენს დარბაზი არქიტექტურულად და რა სოციალურ ფუნქციას ასრულებს იგი როგორც საცხოვრისი.

დარბაზი საქართველოში სასახლეთა ერთ-ერთი შემადგენელის, დიდი სიერცობრივი ერთეულის აღმნიშვნელი იყო და შემდგომ საცხოვრის საცენტოდა, როგორც „დიდი სახლი“.⁵⁶ „დიდი“ დაუკონკრეტებელი ცნებაა მსაზღვრელის გარეშე. მსაზღვრელად კი ქსის ხეობაში დარბაზული, ერთობინი გვირგვინით დასრულებული სახლის აღმნიშვნელი ტერმინი გვეგულება – „ერთობის სახლი“.⁵⁷ ერთობა თავისთავად დიდ ოჯახს გულისხმობს, განუყოფელს და მის ცენტრში გმართული კერა სწორედ ოჯახის განუყოფლობის სიმბოლოდ გვევლინება.⁵⁸ კერა კი გულისხმობს თავის გარშემო იმოდენა სივრცეს მაინც, რომ მან მისი ფუნქციონალურ უჯრედებად დანაწერება შეძლოს.⁵⁹ ე.ი. დარბაზი ისეთი სიერცეა, რომელიც რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრებისათვის იყო გამიზული და გულისხმობდა კერას ერთობინი გვირგვინით. რას ეკრძობა გვირგვინი, აქ სრულებით არა გადამწყვეტი მნიშვნელობის. ბოძი დარბაზებში უპირველესად კონსტრუქციული ელემენტია და ცხადია, იგი შემდგომ იძენს სიმბოლურსა და მხატვრულ-დეკორატიულ მნიშვნელობას (საქართველო), ან ბოლომდე სამშენებლო დეტალად რჩება (ნაწილობრივ სომხური „გლხატუნი“ და თითქმის მთლიანად აზრბაიჯანული „გარადამი“).⁶⁰

დარბაზში დედაბობის აღმართვა თავიდანვე ტექტონიკური აუცილებლობით იყო გამოწვეული – ანუ საამშენებლო მასალის ოდგაროვნებითა და მათი სხვადასხვა შესაძლებლობებით. აქ იგულისხმება ის, რომ დარბაზის კედლები ნაგებია ქვით ან მოპირკეთებულია ქვით მიწური, ხოლო ზედა სტრუქტურა კი მისი მთლიანად ხისაა. გვირგვინისა და კედლების მყარი ურთიერთმიბმა, ამ ორ სხვადასხვა კონსტრუქციული თვისების მქონე მასალისა, არაფრითაა გარანტირებული. ასეთ გარანტიების სწორედ დედაბობი ან დედაბობთა სისტემა ქმნის ქართლურ დარბაზებში, ხოლო კედლებს აყოლილი სეეტები მესხურ დარბაზებში. ე.ი. სეეტებითა და ბოძებით იქმნება დარბაზთა ერთიანი არქიტექტონიკური ჩონჩხი. „კოლხურ სახლში“ კი სრულებით არა სეეტის აუცილებლობა, რა ზომისაც არ უნდა იყოს ნაგებობა, სამშენებლო მასალის ერთგაროვნების გამო. კოლხი ისედაც მიისწრაფვის იმისაკენ, რომ გვირგვინი მაინცდამაინც კედლებს დააყრდნოს. ცენტრალურ სეეტს დაყრდნობილი გვირგვინი სახურავის გარშემო წარმოშობს ბანს, რაც სრული შეუსაბამობა მისთვის კლიმატური პირობების, ჩშირი წვიმების გამო.⁶¹

მკედვებართა მიერ „კოლხური სახლის“ ტიპოლოგიის დასადგენად ხმირადაა ეთნოგრაფიული პარალელები მოყვანილი: „ჯარგვალი“, „კუშტურა“, კუდარიანი და რაჭული სახლები.⁶² ეს ნაგებობანი შესაძლოა „კოლხური სახლის“ დამცრობილ და სახეცვლილ, „ერთობის სახლის“ ფუნქციაგამოცლილ მოდელებს წარმოადგენს, რომელიც ინერციით უკანასკნელ დრომდევ არსებობა.

საბოლოოდ გვინდა გამოვთქვათ აზრი, რომ „კოლხური სახლი“ კოლხური დარბაზია (ტაბ. V, VI) და თვისობრივად „ერთობის სახლის“ გველა პირობას ასრულებს. იგი სრულებით არა „ჩანასახი“ რაიმესი და არც პირტოტიპი. იგი უსეეტებო კოლხური სახესხვაობაა დარბაზისას⁶³ და ისიც კერის, როგორც საცხოვრისთათვის საწყისი სიმბოლოს მიერ წარმოქმნილი და განვითარებული ნაგებობაა.⁶⁴

განხილული საკითხები გამბედაობას გვმატებს „კოლხური სახლის“ ჩვენეული თარგმანი შეკთავაზოთ მკითხველს:

„კოლხები, რომლებიც პონტოში ცხოვრობენ და უხვად აქვთ ხე-ტყე, მორებს მიწაზე დებენ ერთმანეთისაგან მათი სიგრძისხელა შეაღების დაშორებით მარჯვნივ და მარცხნივ, მათ კი ზემოდან კიდევებში დაჭრობენ ორ სხვა მორს, რითაც იკვრება საცხოვრისის ფართობი და შემდეგ ოთხივე მხრიდან ბოლოებადაბმული, ურთიერთმონაცვლეობით ერთმანეთზე დაყრდნობილი მორების წყობით ქვედა მორების სწორად აჟავთ კოშკის ძელური კედლები. მორების სიმრგვალის გამო შექმნილ შეაღებებს კი ფიჩითა და თიხით აქვებენ. ასევე იგება სახურავებიც: ოღონდ ამოკლებნ თანდათანობით მორებს და კედლავ კუთხების ურთიერთჭობით, ამასთანავე მათი ოთხივე მხრიდან ცენტრისაკენ ადგილმონაცვლეობით, აგებენ პირამიდებს, რაც შემდგომ თიხითა და ფოთლებით ითარება. ესა კოშკის ბარბაროსულად ნაგები კამარა.“

ფრიგიული სახლი

5. ფრიგიელები კი, რომლებიც ხრიოკებში ცხოვრობენ და ცოტა ხე-ტყე აქვთ, ბორცვებს ირჩევენ, თხრიან მათ, გაძყავთ მისასელელები და აფართოებენ მიწურს ბუნებრივი პირობების შესაბამისად. ზემოდან კოჭებით ქმნიან კონხურ სახურავებს, რომლებსაც ჯერ თიხით ფარავენ და შემდგომ მიწის დიდი ფენილით. ასეთი სახლები ძალიან თბილია ზამთარში და გრილი ზაფხულში⁶⁵.

ეს აღწერილობა უშუალოდ ებძის „კოლხური სახლის“ დახასიათებას და მეტი ლაკონიურობით გამოირჩევა, როგორც „კოლხურში“, ასევე „ფრიგიაშიც“ გურადსაღები ბუნებრივი პირობების როლია საცხოვრისთა ფორმირებისას. ამ შემთხვევაში იგულისხმება ბორცვის შედგენილობა: საცხოვრისი-მიწური ფართოვდება მანამ, სანამ მას კლდე არ ზღუდავს („კოლხურ სახლში“ კი სიერცეს განსაზღვრავს მორის სიგრძე).

„ფრიგიული სახლის“ ოგიუსტ შუაზის მიერ შემოთავაზებულ რეკონსტრუქციაში (ტაბ. VII,2),⁶⁶ კიტრუკიუსის კომენტატორებს აღარ უცდიათ ცელილებების შეტანა, რაც უპირველესად მისმა უდიდესმა აეტორიტეტმა განაპირობა. გარდა ამისა, მკელევარებს უფრო მეტად ტრაქტატში ასახული ბერძნული ხუროთოძღვრების პრობლემები იზიდავდათ და ნაშრომის წინა თავები რამდენადმე მათი ყურადღების მიღმა დარჩა. ო. შუაზიზე კი გაელენა „ფრიგიული სახლის“ რესკონის რეკონსტრუქციამ მოახდინა (ტაბ. VII,1). ეს ნახატი წარმოდგენას გვაძლევს აღორძინების ხანის არქიტექტურის თეორეტიკოსთა ცხოველ ფანტაზიაზე. ო. შუაზიმ ეს „არქეოლოგიური თვალსაზრისით ფანტასტიკური“⁶⁷ რეკონსტრუქცია იღუსტრაციაზე განტვირთა და მხოლოდ ფრთხილი სქემა შემოგვთავაზა იდეისა. ო. შუაზის მიერ უნებლივთ შექმნილი „შეუგალობა“ გიორგი ჩუბინაშვილმა დარღვევა და თავის ერთ-ერთ ნაშრომში⁶⁸ რამდენიმე უაღრესად საინტერესო დაკვირვებას მოუფარა თავი: I. გ.ჩუბინაშვილის აზრით „ფრიგიულ სახლში“ (ასევე „კოლხურ სახლშიც“) ვიტრუკიუსის ყურადღებას ძირითადად სახურავის განსაკუთრებული სახე იყერობს. II. „ფრიგიული სახლის“ აღწერილობა გულისხმობს „ერდოს“. III. აღწერილობა ფრაგმენტულია, მაგრამ მიანიშნებს ნაგულისხმევ არქიტექტურულ დეტალებს და IV. გ.ჩუბინაშვილი თვლის, რომ „კოლხურ“ და „ფრიგიულ“ სახლთა ზედა სტრუქტურები ტიპოლოგიურად მსგავსია. ბოლო დაკვირვება კი თავისთავად გულისხმობს „ფრიგიული სახლის“ და ქართული დარბაზის ტიპოლოგიურ მსგავსებას.⁶⁹

გ.ჩუბინაშვილის ეს მოსახრებანი სამწუხაროდ არქიტექტურის მკელევართა მიერ უყურადღებოდ იქნა დატოვებული და შემდგომი სრულყოფა აღარ განუცდია.⁷⁰ ლ.სუმბაძემ მთლიანად უარყო შესაძლებლობა „ფრიგიული სახლის“ და დარბაზის მსგავსებისა ო. შუაზის მიერ წარმოდგენილი რეკონსტრუქციის გავლენით.⁷¹ ო. შუაზის ნახატის მიხედვით მართლაც ძნელია დარბაზისა და „ფრიგიული სახლის“ მსგავსებაზე საუბარი. ო. შუაზი როგორც კომენტატორი იმით ხასიათდება, რომ არ ახვევს თავზე მკითხველს თავის წარმოდგენას და რეკონსტრუქციებით მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლებელ ვარიანტს გვთავაზობს უაღრესად ფრთხილად, როგორც წყაროს მისეულ გააზრებას. ამით ის დიდ შესაძლებლობებს ტოვებს შემდგომი კელევებისათვის. მის იღუსტრაციაზე „ფრიგიული სახლის“ შიდა ფართობი მრგვალია, მაგრამ სამამისოდ ტექსტი მინიშნებას არ იძლევა. ის კი ჩანს, რომ ჯერ რესკონიმ და შემდგომ ო. შუაზიმ სახურავის კონუსის საფუძველი მექანიკურად ძირითად სივრცეზეც გავრცელება. შესაძლოა მიწურ ნაგებობებში საცხოვრისის სწორკუთხედი მკაცრად დაცული არ ყოფილიყო, როგორც ამას ქართლურ მიწურ დარბაზებში ეხვედებით,⁷² მაგრამ მათი სიმრგვალისათვის მონაცემები არ გვაქს. რეკონსტრუქციაზე ამას გარდა სახლი ერთი ბირთვითა ნაჩვენები, ხოლო ვიტრუკიუსისეული „...გაპყავთ მისასვლელები“ უთუოდ გულისხმობს რაღაც განტოტებებს. არარეალურად გამოიყერება ო. შუაზის იღუსტრაციაზე სახურავის კონსტრუქცია: ამდგვარი „კონუსი“ სრულებით ვერ უზრუნველყოფს მასზე მიწის ფენილს და ამასთანავე საგსებით გამორიცხავს ერდოს, რომლის გარეშე მიწურ მართლაც შეუძლებელია ერთებინა. ჭერის ღიაბი აქ ერთადერთი სინათლის წყაროა და ამავე ღროს საკვამური. ვიტრუკიუსისეული „...ზემოდან კოჭებით ქმნიან კონუსურ სახურავებს“ შეიძლება გულისხმობებს მხოლოდ ძელების პორიზონტალურ წყობას, ხოლო „კონუსი“ ამ წყობის ანუ გვირგვინის ერთ-ერთ რთულ სახეობას – რვაკეთხვოვანს ან თორმეტეტურთხვანს, ე.ი. ისეთს, რომელიც კონუსს უკეთ წარმოქმნის. კონურეტულად ფრიგიულ საცხოვრისთა შესახებ არქეოლოგიურ მონაცემებს არა ვფრთვოთ, მაგრამ არც ვიტრუკიუსის „ფრიგიაში“ უნდა იგულისხმებოდეს ისტორიული ფრიგიის სახელმწიფო საზღვრები. აქ უნდა დაკინახოთ ზოგადად მცირე აზია და მისი მიმღებარე ტერიტორიიგი მეტნაკლებად ერთნაირი გვოგრაფიული პირობებით – მთაგორიანი, შედარებით ხრიოკი, უტყვეო ზონები.

მცირე აზიას ანუ ამჟამინდელი თურქეთის ეთნოგრაფიული სინამდვილე ცრუგუმბათით დასრულებულ საცხოვრისებს იცნობს შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთსა და სამხრეთ სანაპიროზე, იქ, სადაც დღემდე ძირმეტები მოსახლეობა ცხოვრობს და სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი პონტოური სახლის სახელწოდებით ისხნიება,⁷³ ესაა უძველესი მესხური დარბაზების ანალოგიური ნაგებობანი. ისტორიული კარის ტერიტორიაზე შემორჩენილი „დრაქონის სახლები“ ანუ ქვის დარბაზები,⁷⁴ იმის ანალოგიური სტრუქტურები, რაც საქართველოშიც, ბორჯომის რაიონში გვხვდება⁷⁵ (ტაბ. VIII,9). ანატოლიის მთელს დანარჩენ უზარმაზარ ტერიტორიაზე დარბაზული სახლების რაიმე სხვა მინიშნება არ გვაქს, რაც სავებით ბუნებრივია, რადგან მოგვიანებით ამ ტერიტორიაზე შემორჩილ და დამკიდრებულ ასალ ეთნიკურ ჯგუფებს შეიძლებოდა არ გაეზიარებინა და ვერ შეეთვისებინა დამსვლელთა სამშენებლო ტრადიციები, ამ შემთხვევაში ცრუგამარით დასრულებული ნაგებობანი, თუ, ცხადია, ასეთი ამ ტერიტორიაზე არსებობდნენ.

ჩვენს წარმოდგენებს მცირეაზიულ საცხოვრისთა შესახებ კვლავ არქეოლოგია ავსებს და ამჯერად სამარხეული ნაგებობანით. ისინი ყველა ძირითადი ნიშნით საცხოვრისთა სტრუქტურას იმეორებს როგორც მოდელები და მდიდარ მასალას გვაძლევს საცხოვრისთა რეკონსტრუქციისათვის (ტაბ. VII,5; VIII,2,3).⁷⁶ დავაკონკრეტოთ, რასა ვფრთვოთ

ურთიერთშეჯერებისათვის მცირე აზიასა და საქართველოში. მცირე აზიაში – სამარხეულ ნაგებობებსა და ქვის დარბაზებს, რომლებიც, როგორც ჩანს, უკანასკნელ ხანამდე უუნქციონირებდნენ. საქართველოში – დარბაზულ სახლებსა და ქვის, ასევე უკანასკნელ პერიოდამდე მოქმედ ცრუქამარიან ნაგებობებს. ამათ ემატება არქეოლოგიური მონაპოვარიც საქართველოში – საცხოვრისის ნაშთები. აღვნიშნოთ, რომ ტექსტის მიხედვით არც „კოლხე“ და არც „ურიგიულ“ სახლში არა გვაქეს თავისუფლად მდგომი სევტი და ამდენად ცველა ის მაგალითი, რომელიც ხელ მოვალეობა შედარებისათვის, აღწერილობას უკვე ეპასუხება. საყრდენად უნდა აკირჩიოთ დღემდე შემორჩენილი მესხური დარბაზები და აქედან თვალი გავადევნოთ წარსულს, ანუ მცირეაზიულ სამარხებს ერთის მხრივ და არქეოლოგთა მიერ გამოვლენილ საცხოვრისს უფლისციის მახლობლად ბამბების ცელზე, მეორეს მხრივ (ტაბ. IX).⁷⁷ I – რაც შეგვიძლია აღვნიშნოთ, ესაა სამარხი ნაგებობების მოცულობითი კომპოზიციისა და სტრუქტურის სრული იდენტურობა მესხურ და თრიალეთურ ლ.სუმბაძისა და წილოსანის მიერ აზომილ დარბაზებთან (შდრ. ტაბ.X).⁷⁸ აյ დაბრკოლება არაა ის, რომ სამარხები მთლიანად ქვითა ნაგები. მათი ცრუგუმბათები (უნდა შევნიშნოთ „შვიდსახურავიანი“ ანუ შვიდი სექტურისაგან შემდგარი) დიდი გელმოდგინებით იმეორებს ზის ტექსტურას და თავიდანვე გვირგვინთა მოდელებად იყო გააზრებული. II – ბამბებში აღმოჩენილი ნაგებობა, რომელიც უდავოდ ელინისტურ ხანას განეკუთვნება, მესხური დარბაზის ნაშთია, იგი ცველაურს გვაძლევს რეკონსტრუქციისათვის: გვირგვინის დანახშირებული ფრაგმენტები, კედელს აყვალი სევტა ბუდები თავისი ბაზისით, თიხატებინილი პოდიუმი, ცენტრალური კერა და სხვ. არც გვმარებით სექმით და არც სტრუქტურით იგი ოდნავადაც არ განსხვავდება გჩიტაას მიერ გამოქვეყნებული მესხურ დარბაზთაგან (შდრ. ტაბ. IX, X და VII,3,4).⁷⁹ ანატოლიის დასავლეთ სანაპიროდან ქართლის შუაგულამდე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საცხოვრისს ერთი და იგივე ტიპის პოპულარობა.

ორიოდე სიტყვით ქვის დარბაზებსაც გვინდა შევეხოთ. ისინი ბუნებრივად იარსებებდნენ დარბაზულ ნაგებობათა გვერდით და პარალელურად. ვიმეორებთ რომ მათ მცირე აზიაშიც ცვლობოთ და საქართველოშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ქვის შესაძლებლობები ჩისაგან რადიკალურად განსხვავდა გვირგვინის შექმნის პროცესისათვის და ამიტომაც ისინი მინიატურული ზომებისაა. სამარხთა ანალოგიურად ისინიც დარბაზთა მოდელებია. ამასთანავე ზის ბუნების ქვაში ძიების შედეგი დამოუკიდებელ არქიტექტურულ დეტალშიც მივიღეთ – კესონში. ო.შუაზის სრულებით არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ კესონი სწორედ ზის პარალელური ან კუთხური წყობის ქვაში ასახვა და სწორედ ვიტრუ-ვიუსის „კოლხური სახლი“ მოჰყავს სანიმუშოდ (ტაბ. VIII,4).⁸⁰ ფაქტურად „კოლხური“ და ჩვენი აზრით „ურიგიული“ სახლიც ვიტრუვიუსის მთელ ტრაქტატში კესონის გენეზისისა და საერთოდ ცრუ კამარის წარმოქმნის ერთადერთი მაგალითია. ერთგვარ შუალედურ ნიმუშად მიგაჩნია თრაკიული სამარხიც, რომლის ზედა სტრუქტურა – გვირგვინიცა და კესონიც ერთდროულად (ტაბ. VIII,6),⁸¹ ხოლო მიღასას მონუმენტური ქვის გვირგვინიანი სამარხი⁸² სრულიად ცხადად იმეორებს ზის გვირგვინს (ტაბ. VIII,3).

და ბოლოს ისლა დაგვრჩა სათქმელი, რომ „ურიგიული სახლი“ მესხური დარბაზია. ცველაური მოწმობს ამას. „ურიგიული სახლის“ ჩევნებული რეკონსტრუქციის შემოთავაზება, ვფიქრობთ, რომ სრულიად ხედმეტია, ასეთად შეგვიძლია მივიღოთ ნებისმიერი მესხური დარბაზი (ტაბ. VIII,3,4; IX). ეს საცხოვრისიც იმავე საწყისმა სიმბოლომ წარმოქმნა, რომელმაც „კოლხური სახლი“ და საერთოდ სახლის ნებისმიერი ტიპი – კერა. უბრალოდ, როგორც „კოლხურ“, ასევე „ურიგიულ“ სახლებში ბოლომდე შენარჩუნდა საწყისი სიმბოლო, როგორც დამოუკიდებელი არქიტექტურული დეტალი.

